ძნელი მატჩი სოფიაში

სოფია, ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონი 3 ოქტომბერი.

"სლავია" (სოფია) – "დინამო (თბილისი) 2:0 (0:0)

"სლავია": ცოლოვი, ჩაკიროვი, შალამანოვი, ეფტიმოვი, კრისტევი, კოსტოვი, ალექსანდროვი, ისაკიდისი, გრიგოროვი, ჟელიაზკოვი, გეორგიევი (დიმოვი).

"დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფვიანი (ლ. ნოდია).

მსაჯი მ. სორვანი (თურქეთი)

გაფრთხილებულია გ. გავაშელი.

უეფა–ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტ ფინალის განმეორებითი მატჩის წინ ორივე გუნდის წინაშე ძალზე რთული ამოცანა იდგა: ბულგარელებს, რომლებსაც პირველი შეხვედრა თბილისში წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:4 უნდა დაეძლიათ ეს სამგოლიანი სხვაობა, რათა გათამაშების შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მიეღოთ, ხოლო თბილისელებს უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთ მინდორზე მოპოვებული წარმატება, რისთვისაც წაგებაც კი შეეძლოთ, ოღონდ მხოლოდ გარკვეული ანგარიშით.

გავხსნათ ფრჩხილები, თუმცა, ფეხბურთის მოყვარულნი ალბათ ისედაც კარგად არიან გარკვეული ამ წაგება–მოგების რებუსში. ევროპული მასშტაბის საკლუბო ტურნირის ფორმულა ორ მატჩში ფაქტიურად იმდენად ქულობრივ სისტემას არ გულისხმობს, რამდენადაც ბურთებისას. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში მეტოქის მინდორზე გატანილი გოლი ორმაგად ითვლება. ავიღოთ "დინამოს" და "სლავიის" კონკრეტული მაგალითი: თბილისელებს შინ მატჩი მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 4:1 რევანში ანგარიშით 3:0 ბულგარელებს სავსებით ჰყოფნიდათ საბოლოო გამარჯვებისთვის, ვინაიდან ჟელიაზკოვის მიერ თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე გატანილი გოლი მათ ორმაგად ჩაეთვლებოდათ. იგივე ანგარიში – 4:1 – სრულ თანაფარდობას ნიშნავდა, ამიტომ საჭირო გახდებოდა დამატებითი მატჩის დანიშვნა და შეიძლება პენალტების სერიაც. "სლავიას" რომ მოეგო ანგარიშით 5:2

დინამოელთა მიერ სოფიის სტადიონზე გატანილი გოლები გაორმაგდებოდა, რაც გამარჯვების სასწორს მათს სასარგებლოდ გადახრიდა.

ერთი შეხედვით, პრობლემა გაცილებით უფრო რთული და ძნელი იყო ბულგარელთათვის, რომლებმაც ასეთი დიდი პანდიკაპი მისცეს მეტოქეს, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ციფობრივი მანიპულაციები არ წყვეტს ყველაფერს. ისეთ სერიოზულ ტურნირში, როგორიც უეფა–ს თასის გათამაშებაა, საკუთარი მინდვრის ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანი სტიმულია. არაერთი შემთხვევა ვიცით წარსული წლების მაგალითზე, რომ დამარცხებულ გუნდს თავისი გულშემატკივრების აქტიური მხარდაჭერით არნახული თავგანწირვით უთამაშია და მძიმე მდგომარეობა გამოუსწორებია. რაღა შორის მივდივართ, როცა შარშან თბილისის "დინამო" უეფა–ს თასის გათამაშებას გამოეთიშა სწორედ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობის გამო, თუმცა მაშინ მისი აქტივი პირველი მატჩის შემდეგ სულ ერთ ბურთს შეადგენდა.

3 ოქტომბრის მატჩმა ცხადად დაამტკიცა, რომ "სლავიას" არ ჰქონდა იმედი მთლად გადაწურული და რევანშის აღების წყურვილით გამოვიდა მინდორზე. მასპინძლებმა ძალთა მაქსიმალური დაძაბვით, უკიდურესად მაღალი ტემპით, აქტიურად დაიწყეს თამაში. მათი განზრახვა ნათელი იყო პირველივე წუთებზე მოეპოვებინათ წარმატება, ხელთ ეგდოთ ინიციატივა და საერთოდ, რაც შეიძლება მალე მიეღწიათ სასურველი შედეგისთვის.

მეტოქის ეს ტაქტიკა დინამოელთათვის მოულოდნელი არ იყო. მცველები კარგადა მომზადებული, მობილიზებული შეხვდნენ "სლავიის" შტურმს, ნახევარმცველები ხშირად ეხმარებოდნენ მათ და ბულგარელთა გეგმა, რომ დასაწყისშივე გადაეწყვიტათ მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ, ჩაიშალა, პირველ ათ წუთს უმძიმესი ბრძოლის შემდეგ თამაშმა თანდათან ცენტრში გადაინაცვლა. მალე ამას მოჰყვა ყიფიანისა და გუცაევის გარღვევები, გ. ნოდიას, ასათიანის, მაჩაიძის შორეული დარტყმები, გავაშელის სწრაფი რეიდი. 31–ე წუთზე ცოლოვის კარი იღბლად გადაურჩა აშკარა გოლს.

ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ პირველ ტაიმში დინამოელებისთვის თამაში იოლი იყო. ტერიტორიულ უპირატესობა. უდავოდ, მასპინძლებს ჰქონდათ და საკმაოდ საფუძვლიანადაც, მაგრამ სახიფათო კონტრიერიშები მათ კართან ხშირად იქმნებოდა.

ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო გეგმა "დინამომ" უფრო შეასრულა, ვიდრე "სლავიამ" –0:0.

როცა ლაპარაკია სამი ბურთის გაქვითვაზე, რასაკვირველია, ეს მთელი მატჩის მანძილზე გაცილებით უფრო ადვილი გასაკეთებელია, ვიდრე მხოლოდ მეორე ტაიმში. ამდენად თბილისელთა ამოცანაც საგრძნობლად უნდა გაადვილებულიყო, მაგრამ თამაშის შემდგომ მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა 48–ე წუთმა, როცა ბულგარელთა ერთ–ერთი შეტევისას მეკარე გოგია ადგილზე არ აღმოჩნდა და გრიგოროვის მიერ დარტყმული ბურთი მას ზევიდან გადასცდა –1:0. ამ გოლმა "სლავიის" მოთამაშეებს მატჩის ხსნის იმედი შთაუნერგა, ხოლო, როცა 62–ე წუთზე კრისტევის მიერ არეულობაში დარტყმულმა ბურთმა მეორედ მიაღწია მიზანს, ცხადი შეიქმნა, რომ თბილისელებს ძალიან გაუჭირდებოდათ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება. ამ უმძიმეს სიტუაციაში ჩვენი გუნდის თავდამსხმელებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო შეუპოვრობა, ნებისყოფის სიმტკიცე, პასიურობდნენ, სისტემატურად აგებდნენ ყოველ ორთაბრძოლას, თავს არიდებდნენ შეტაკებებს. ბურთი წინა ხაზზე წუთითაც არ ყოვნდებოდა. თამაშის მთელი სიმძიმე დააწვათ დაცვისა და ნახევარდაცვას, სადაც უპირველესი აღნიშვნის, საგანგებო გამოყოფის ღირსად მიგვაჩნია მაჩაიძის თავგამოდებული შესანიშნავი თამაში.

ძნელი ასაწერია, თუ რა მძიმე იყო სტუმრებისთვის ბოლო 20–25 წუთი. ბურთი თითქმის არ სცილდებოდა მათს საჯარიმო მოედანს, სადაც დროდადრო ორივე გუნდის თითქმის ყველა მოთამაშე იყრიდა თავს. იყო მომენტები, როცა მეკარე ცოლოვი მინდვრის ცენტრშიც კი გამოდიოდა ბურთისთვის და ამ დროს მას ხელს არავინ უშლიდა.

დინამოელებმა მაინც გაუძლეს ასეთ მასირებულ იერიშს, თუმცა ბოლო წამებამდე ხიფათი მათს კარს არ მოსცილებია. მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენმა შეიტანა სიცხადე. საერთო სიტუაციაში. ორი მატჩის შედეგია 4:3 თბილისის "დინამოს" სასარგებლოდ და უეფა–ს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალშიც იგი გავიდა.

ლელო 6.10.1973 წ.